№ 146 წელიწადი მეორე წელიწადი მეორე ფასი 1 მან.

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა

შაბათი, 5 ივლისი 1919 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 მ. ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

კვირას, ივლისის 6-ს, ქართულ კლუბის საზაფხულო შენობაში, დანიშნულია

ქართულ სამუსიკო საზოგადოების

წლიურ კრების გარგძელება, კრების საგანია მეტად **მნიშვნელოვანი საკითხები:** წესდების შეცვლა, გამგეობის არჩევნები და სხვა. ამიტომ **საჭიროა ყველა წევრების აუცილებლად დასწრება** კრება კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრეთა რიცხვისა. 1171 2—2

ტფილისის სამხედრო ჰოსპიტალი

იწვევს მსურველ პირთ შეშის მისაწოდებლად, ჰოსპიტლის საჭიროებისათვის, ამ წლის ზაფხულის და ზამთრის განმავლობაში. პირობის გაგება შეიძლება ჰოსპიტლის კანცელარიაში ყოველ-დღე ნაშუადღევის 3 საათამდის.

3—1 884 **ჰოსპიტლის ადმინისტრაცია**

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო და სახელმწიფო მამულების განყოფილება

ამით აცხადებს რომ ამა წლის 30 ივლისის შუადღის 12 საათზე განყოფილების სადგომზე (პეტრე დიდის ქუჩა 22, მეორე სართული) მინისტრის ნებართვით დანიშნულია მეორე ზეპირი

საჯარო ვაჭრობა

ამ წლის მოსავლისა შემდეგ ეროვნულ მამულების ხეხილის ბაღებისა: სკრის ყოფილი ავსარქისოვების და ფრიდონოვის ჩუხრანის ყოფილი არამიანცის ბორჩალოს მაზრაში. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანოს განყოფილების სახელზე წერილობითი განცხადება ერთ მანეთიან ღერბის მარკით და ბეთ 30 პროცენტი იმ ჯამისა, რომლიდანაც ვაჭრობა იწყება. პირობების შეტყობა შეიძლება განყოფილებაში ყოველ დღე გარდა უქმეებისა, დილის 8 საათიდან დღის 2 საათამდე. 1106 2—2

ოფიციალური განყოფილება.

კანონი

მთავარ საბაჟოს სამართველოს და ფოთისა და სოხუმის საბაჟოების შტატების გადიდებისა.

1. დაარსდეს შემდეგი დამატებითი თანამდებობანი:

ა) მთავარ საბაჟოში: 3 უმცროსი კონტროლიორისა, 1 ბუხჰალტრის თანაშემწისა, 1 მოლარის თანაშემწისა, 1 საწყობის ზედამხედველის თანაშემწისა, 1 მდივნის თანაშემწისა, 2 მანქანით გადამწერისა, 1 რეგისტრატორისა და 2 დარაჯისა.

ბ) ფოთის საბაჟოში: 1 რეგისტრატორისა, 2 მანქანით გადამწერისა და 3 დარაჯისა.

გ) სოხუმის საბაჟოში: 1 უმცროსი კონტროლიორისა, 1 მოლარისა, 1 რეგისტრატორისა, 1 მანქანით გადამწერისა და ორი დარაჯისა.

2. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან დამატებით ორას ექვსი ათას ასი (206.100) მან. წლიურად.

1919 წ. ივნისის 27 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საბაჟოს შტატების დამატება.

№№ რიგზე.	სახელწოდება საბაჟოთა და თანამდებობათა.	რიცხვი.	ერთის.	ყველას.	შენიშვნა.
	მთავრობის საბაჟო.				
1	კონტროლიორი უმცროსი	3	12600	37800	
2	ბუხჰალტრის თანაშემწე	1	10800	10800	
3	მოლარის თანაშემწე	1	10800	10800	
4	საწყ. ზედამხედველის დანაშემწე	1	10800	10800	
5	მდივნის თანაშემწე	1	10800	10800	
6	მანქანით გადამწერი	2	7800	15600	
7	რეგისტრატორი	1	7800	7800	
8	დარაჯი	2	7200	14400	
		12	—	118800	
	ფოთის 1 ხარ. საბაჟო.				
1	რეგისტრატორი	1	6600	6600	
2	მანქანით გადამწერი	2	6600	13200	
3	დარაჯი	3	6000	18000	
	სულ	6	—	37800	
	სოხუმის მე-2 ხარ. საბაჟო.				
1	მოლარე	1	11700	11700	
2	კონტროლიორი უმცროსი	1	12600	12600	
3	რეგისტრატორი	1	6600	6600	
4	მანქანით გადამწერი	1	6600	6600	
5	დარაჯი	2	6000	12000	
	სულ	6	—	49500	
	და სრულიად	24	—	206100	

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის

მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

ცირკულიარი

№ 1.

მუშათა და მწარმოებელთა ყველა კავშირებს.

მუშათა და მწარმოებელთა საყურადღებოთ ცხადდება, რომ სატარიფო პალატამ ივნისის 26-ს სხდომაზე დაადგინა:

ვინაიდან სატარიფო პალატა მოწვეულია ხელფასის საკითხის გამოსარკვევთ, ხელფასის ტარიფის დაარსებით ეკონომიურ ცხოვრების პირობების ცვალებადობის მიხედვით, გამოეცხადოს მუშათა და მწარმოებელთა ყველა კავშირებს, რომ ხელფასის გადიდება არ შეიძლება შრომის არც ერთ დარგში სატარიფო პალატის სანქციის გარეშე.

სატარიფო პალატის თავმჯდომარე

ი. გოლდმანი

სატარიფო პალატის ამა წლ. ივნისის 26-ს დადგენილების გამო ხელფასისა და მისი სატარიფო პალატის მიერ შეცვლის შესახებ, შრომის სამინისტრო ამით აცხადებს მუშა და მწარმოებელთა ყველა კავშირის საყურადღებოთ, რომ თუ რომელიმე მხარემ არ შეასრულა სატარიფო პალატის აღნიშნული დადგენილება, სამინისტრო მოკლებული იქნება საშუალებას აღმოუჩინოს მათ კანონიერი მფარველობა და დახმარება.

შრომის მინისტრის ამხანაგი **ერაძე**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობის თავმჯდომარის დაბრუნება

ტფილისი. ივლისის 4-ს წყალტუბოდა ტფილისში დაბრუნდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.

შრომის სამინისტროში.

რევიზია.

შრომის მინისტრის ამხ. ბ. გ. ერაძის განკარგულებით შრომის სამინისტრო შეუდგა მოწყალე დების ცენტრალურ კავშირის რევიზიას.

ფქვილის დარიგების შესახებ.

შრომის მინისტრის ამხ. ბ. გ. ერაძე ატყობინებს სასურსათო ცენტრალურ საბჭოს განსაკუთრებულ რწმუნებულს ბ. ცაბაძეს, თუ რათ დაგვიანდა ჯამღენიხანი შრომის მინისტრის ბ. ნ. ხომერიკის განკარგულება არსენალში მომუშავეთა ფქვილის დარიგების შესახებ.

ფრონტის დღე

ივლისის 5, საღამოს სრულ 6 საათზე, სასახლეში კომიტეტი და საორგანიზაციო კომისია ფრონტის დღის პროგრამის გამოსამუშავებლად და მის განსახორციელებლად მუშაობის განაწილებისათვის იწვევს ყველა მნიშვნელოვანსა და მცირე დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლებს და აგრეთვე საქმის მხურვალე თანამგრძნობ კერძო პირთაც.

ყველა უნდა დაესწროს კრებას, ყველამ უნდა სავალდებულოდ გაიხადოს ამ დღის ხელის შეწყობა, არავინ არ უნდა დარჩეს საქმის გარეშე, რამდენადაც კრება რიცხოვანი და თავის შემადგენლობით ხარისხოვანი იქნება მით უფრო დიდებულად იქნება დღე მოწყობილი.

რესპუბლიკის ყველა კერძო და საზოგადო დაწესებულებათა, ყოველგვარ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა საყურადღებოდ.

მეომართა დამხმარე კომიტეტისა და საორგანიზაციო კომისიის შეერთებულ სხდომაზე გადაწყდა, რომ ფრონტის დღე მოეწყოს შაბათს, 19 და კვირას, 20 ივლისს. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დღე უნდა შეეფერებოდეს დიად მიზანს: ჩვენი დამოუკიდებლობისა და რევოლიუციის შეუპოვარ მებრძოლთადმი, ფრონტზე მეომართადმი დახმარებისა და ალერსის გამონახვას.

ვისაც სწამს, რომ ამ დიად მიზნის განხორციელებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა, ვისაც სავალდებულოდ მიაჩნია ამ ღირს შესანიშნავ დღის შესაფერისად მოწყობა — ყველა კერძო და საზოგადო დაწესებულებათა, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს იგი, ყველა ორგანიზაციებმა და კერძო პირთა ამ საქმისადმი თანაგრძნობა უნდა გამოხატონ მით, რომ თავის წარმომადგენელნი უნდა გაგზავნონ შაბათს, 5 ივლისს, საღამოს 6 საათზე, სასახლეში, ოთახი № 13 და 14 საგანგებოდ გამართულ კრებაზე, სადაც გამომუშავდება პროგრამა ამა დღისთვის და გაწესრიგებული იქნება მისი განხორციელება. დაამტკიცეთ, რომ თქვენ მხარს უჭერთ ამ დღის მოწყობას და გამოგზავნეთ თქვენი წარმომადგენელი, რომელსაც შეეძლოს ამ საქმისადმი ხელის შეწყობა.

პატივისცემით ფრონტის დღის მომწყობი საორგანიზაციო **კომიტეტი.**

მუნიციპალური ცხოვრება

ტფილისის თვითმმართველობაში.

სასურსათო განყოფილება ტფილისის თვითმმართველობისა (სასახლის და შტაბის ქუჩების კუთხე) აწოდებს ბინის კომიტეტებს, საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეებისათვის: სამარხვო ზეთს 410 მ.

ფუთს განუსაზღვრელ ნორმით, პერლოვის კრუპას 212 მ. ფუთს ათ გირვანქამდის ოჯახზე, საპონს ბარათებით 8 მ. 40 კ. გირვანქას სულზე სამ გირვანქას, ზღვის მარილს დაუფქველს 18 მან. ფუთს და დაფქვილს 23 მან. ფუთს, სელიოტკებს 93 მ. ფუთს, ხის ნახშირს 15 მ. ფუთს და ლობიოს 100 მ. ფუთს.

გორის თვითმმართველობაში.

ქალაქის გამგეობის მოხსენება და დებულების პროექტი სანიტარულ-ეპიდემიურ გადასახადის შემოღების შესახებ.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ქალაქი გორი თუმცა არც წინათ ყოფილა წესიერ სანიტარულ პირობებში ჩაყენებული, მაგრამ უკანასკნელ 3—4 წლის განმავლობაში ქალაქი აუწერელ ანტისანიტარულ მდგომარეობას განიცდის, ეს ყოველივე ეჭვს გარეშეა.

ზამთარში თავი იჩინა პარტახტიანმა და მუცლის სახადმა, რომელმაც ბევრი მოქალაქე იმსხვერპლა და შემდეგ მოედო მთელ მაზრასაც.

სახადი დღესაც მძვინვარებს ქალაქში და მაზრაში სახადთან დღესაც საბრძოლველად ქალაქის გამგეობამ გახსნა საავადმყოფო 30 საწოლით და თუ რაიმე შემოსავალი ჰქონდა ქალაქს, მოახმარა საავადმყოფოს ხარჯებს. ზაფხულში მოსალოდნელია თავი იჩინოს ხოლერამ, რომელიც უფრო მრისხანე და საშიშარია მოქალაქეთათვის. ყველასათვის აშკარაა, რომ ეპიდემიის გავრცელებას ხელს უწყობს ქალაქის აუტანელი სანიტარული მდგომარეობა. ქალაქს არა აქვს საკმაო და სუფთა წყალი. წყალსადენის უქონლობის გამო მცხოვრებნი სმენ მტკვრის წყალს, რომელიც ხოლერის გავრცელების პირველი ხელის შემწყობია.

ქალაქს არა აქვს კანალიზაცია. უსუფთაობა იზიდება პრიმიტიული საშუალებით—ხის ძველი ბოჭკებით. არა აქვს ქალაქს აგრეთვე აბანო, მცხოვრებნი ტანის დასაბანად მიემგზავრებიან ტფილისში და ხანდახან ქუთაისში. ქუჩები მოუკირწყლავია, ვერ სუფთავდება და ვერ ირწყვის სისტემატიურად, რის გამოც ჰაერი ქალაქში მოწამლულია. სასაკლაოს შესახებ ლაპარაკიც ზედ მეტია, ვინაიდან იგი პრიმიტიულზე უარესია: ძველი, პატარა ხის შენობა, აშენებული 30 წლის წინად, დანგრეული იატაკით და დამპუნებელი ჭერით, რომელიც პატარა წვიმის წყალსაც ვერ იჭერს.

ყველა ზემოთ მოხსენებულ ნაკლულოვანებათა თავიდან ასაცილებლათ საჭიროა ქალაქის კასის ერთ დროულათ მოლონიერება ერთ მილიონ ორას ორმოცდა ათი ათასი მანეთით (1.250.000 მ.), რომელიც საჭიროა მოხსენებასთან დართულ ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით.

ქალაქს იმდენი შემოსავალი არა აქვს, რომ სხვა აუარებელ და აუცილებელ ხარჯებს გარდა, დაიცვას სასურველი სანიტარული მდგომარეობა ქალაქში და ააშოროს ხალხს სხვა და სხვა გვარი სენი—სახადი, ხოლერა და სხვა. სენთან საბრძოლველად და მოქალაქეთა გასაჯანსაღებლათ, ქალაქის გამგეობა ფიქრობს მოუწოდოს თვით მცხოვრებლებს მიიღონ მონაწილეობა უბედურებასთან ბრძოლაში და დაეხმარნენ ქალაქის გამგეობას მატერიალურათ, ამიტომ გამგეობამ განიზრახა შემოღებულ იქნას სპეციალური სანიტარული გადასახადი იმ პირობებით, რომელიც აღნიშნულია ქვემოთ მოყვანილ პროექტში.

1. ქალაქ გორის სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და აგრეთვე საბოლოოდ ეპიდემიურ ავათმყოფობასთან საბრძოლველათ, შემოღებულ იქნას ერთდროული საგანგებო სანიტარულ-ეპიდემიური გადასახადი, გორის ქალაქის თვითმმართველობის სასარგებლოთ.

2. ამ გადასახადით დაბეგრილ უნდა იყვეს გორში მობინადრე ყველა მოქალაქე, ღარიბებსა და იმ პირთა გარდა, რომლებიც უცხო ქვეყნის ჯარში და დიპლომატიურ მისიებში მსახურებენ.

3. ამ გადასახადის გასაწერად არსდება ქალ. გამგეობასთან ცალკე კომისია, რომელშიაც შედიან: ქალაქის გამგეობის 1 წევრი, საბჭოს 4 ხმოსანი, საბჭოს მიერ ამორჩეული და თითო წარმომადგენელი გორში არსებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებიდან, ხელოსანთა ამქრებიდან, ვაჭრებიდან, მრეწველებიდან, სახლის პატრონებიდან და ბინის დამქირავებლებიდან; 4. რადგანაც დამტკიცებულია, რომ ³/₄ მოქალაქეთა ერიდება ყოველგვარ განცხადების შეტანას დაწესებულებებში თავისი ნამდვილი შემოსავლის შესახებ, რის გამოც ყოვლად შეუძლებელი ხდება რეგისტრაცია იმ აუარებელ თანხისა, რომელიც შეძენილ იქნა მოქალაქეთა მიერ უკანასკნელ ხანში, ამიტომ სანიტარული გადასახადის გაწერა ხდება კომისიის სუბიექტიური შეხედულებით; 5. გადასახადის გაწერის ტეხნიკას (მოქალაქეთა კატეგორიებათ დაყოფა და სხვა) იმუშავებს თვით კომისია.

6. **შენიშვნა**: თუ ოჯახში რამდენიმე მოწაღმართე პირია, გადასახადი შეეწერება ყველას ერთად ოჯახზე.

7. გაწერილი გადასახადი კომისიის მიერ წარედგინება ქალაქის საბჭოს დასამტკიცებლად.

8. გადასახადი შეტანილი უნდა იქნას ქალაქის თვითმმართველობის კასაში ორ ნაწილად. უკანასკნელ ვადას გადასახადის შეტანისას ადგენს ქალაქის საბჭო.

9. გადასახადის ქალაქის კასაში შეტანის ვადა ეუწყებათ მოქალაქეთ საერთო განცხადებით.

10. გადასახადის რაოდენობის შესახებ მოხარჯეთ ეგზავნებათ გადასახადის ფურცელი.

11. სახელმწიფო და საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა დახმარება უნდა აღმოუჩინონ ქალაქის გამგეობას გადასახადის აკრებაში, ამიტომ ისინი მოვალენი არიან ჯამაგირის უახლოეს დარიგების დროს მოსამსახურეთაგან დაიჭირონ ეს გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ და გამოუგზავნონ ქალაქის გამგეობას გადამხდელთა ცალკე სიით, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყვეს მათი გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი გადასახადის რაოდენობა.

12. გადასახადი' შემოტანაში მოხარჯეს ეძლევა დაწესებული კვიტანცია.

13. ვინც გადასახადს დაწესებულ ვადამდე არ შემოიტანს, ან მოქალაქეთა შორის გასწევს აგიტაციას გადასახადის წინააღმდეგ, დასჯილ იქნება ადმინისტრატიულად დატუსაღებით სამ თვემდე, ან ჯარიმის დადებით 1500 მანეთამდე.

14. ვადა გასული გადასახადი იხდევინება უდავოდ იმავე წესით, რომელიც არსებობს მთავრობის დაწესებულებათა და პირთა უდავო გადასახდელთა დასაკმაყოფილებლად.

15. ამ გადასახადის გარდა, ეპიდემიურ ავადმყოფობის დროს შემოღებულ უნდა იქნას აგრეთვე დამატებითი სანიტარული გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ, ეპიდემიასთან საბრძოლველად, რისთვისაც ქალაქში არსებულ სასტუმროებში, პირველ ხარისხის რესტორანებში და ყავახანა საჩაიებში ანგარიშების საერთო ღამეებზე ეხდევინებათ 10%, ხოლო სხვა სავაჭრო დაწესებულებებზე 5%.

16. ეს გადასახადი ეხდევინება ანგარიშებზე ქალაქის მარკის დაკვრით.

17. სავაჭრო დაწესებულებების პატრონები, რომლებიც არ გადაახდევინებენ ქალაქის სასარგებლოდ ამ გადასახადს, ან გადაახდევინებენ დაწესებულ %% ნაკლებს, დაისჯებიან ადმინისტრატიულ დაპატიმრებით ერთ თვემდე, ან დაჯარიმდებიან ათას მანეთამდე.

18. უკმაყოფილო მოხარჯეთა საჩივრების და თხოვნების განსახილველად, არსდება საგანგებო კომისია, რომელშიც შედიან: ქალაქის თავი, საბჭოს თავმჯდომარე და თითო წარმომადგენელი მუშათა პროფესიონალურ კავშირიდან, ხელოსანთაგან, ვაჭარ-მრეწველთაგან, საზოგადოებრივ დაწესებულებებიდან და სახელმწიფო დაწესებულებებიდან.

19 ქალაქის გამგეობას ნება ეძლევა ამ დებულების გასაფართოებლად გამოსცეს ინსტრუქციები.

წყლის საკითხი.

ტფილისის ქალაქ. გამგეობა მცხოვრებთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ წყალის კრიზისი შექმნა ავჭალის წყალსადენის სადგურის მანქანებისა და მილების დაძველებამ, რაც გამოიწვია განუწყვეტლივმა მუშაობამ ზოგი ქვაბების გაჩერების გამო. სწრაფათ მიღებულ ზომებით ავჭალის სადგურის მთავარი მილი გასწორდა, რითაც ბევრათ შემცირდება წყალის კრიზისი ქალაქში.

რომ ქალაქმა ნორმალურათ მიიღოს წყალი პარალელურათ ხდება კაპიტალური რემონტი ქვაბებისა და მანქანებისა. რემონტი გათავდება 2—3 კვირის შემდეგ.

სასოფლო მეურნეობა სიღნაღის მაზრაში 1918 წ.

სტატისტიკის შესახებ.

დიდიდან საერობო ინსტიტუტის შემოღებისა, ჩვენი მაზრის პირველსავე საერობო ყრილობაზე ყველასათვის ნათელი იყო ის დიდი ნაკლი, რომელსაც განიცდის ჩვენი სახელმწიფო და კერძოთ ჩვენი მაზრა სტატისტიკურ კვლევა-ძიების მხრივ; ყველასათვის აშკარა იყო, რომ ერობის საქმიანობა, მისი აღმშენებლობითი მუშაობა მაშინ იქნებოდა მიზანშეწონილი და ნაყოფიერი, როდესაც ყოველი ნაბიჯი საერობო მოღვაწისა დამყარებული იქნებოდა მტკიცე ფაქტებზე, როდესაც ყოველმხრივ შესწავლილი იქნებოდა ჩვენი მაზრის სოციალ-ეკონომიური ცხოვრება, მისი სტატისტიკა [illegible]-სანთა პირველმა ყრილობამ არ დააყოვნა დაეარსებინა სტატისტიკური განყოფილება და ჩვენი მაზრის მეცნიერულათ შესწავლა აუცილებელ საჭიროებათ ეღიარებინა. მაგრამ ჩვენი განყოფილების მუშაობა, როგორც ყოველი ახალი დაწყება და მით უმეტეს ისეთ დარგში, როგორსაც წარმოადგენს სტატისტიკა, საერთოთ თანამედროვე სახელმწიფოებში და განსაკუთრებით ჩვენში, ვერ იქნებოდა ისეთი ნაყოფიერი, როგორც ამას ჩვენი მაზრის სადღეისო საჭიროებანი მოითხოვენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენში აქამდე არ არსებობდა სტატისტიკა, არ არსებობდა მუდმივი სტატისტიკური ორგანიზაციები, რომელთაც სისტემატიურათ ეწარმოებინათ სოციალურ ცხოვრების შესწავლა, მით უმეტეს არ არის შექმნილი ტრადიცია. როდესაც ჩვენ მუშაობა დავიწყეთ, ირგვლივ სრული სიცარიელე და გარდუვალი დაბრკოლებანი დაგვხდა, როგორც მასალებისა და სახელმძღვანელოების უქონლობით, ისე ადგილობრივი ობიექტიური თუ სუბიექტიური პირობების მხრივ და ჩვენ მალე დავრწმუნდით, რომ ჩვენ თვითონ, საკუთარის ძალებით, უნდა შეგვექმნა ყველაფერი: ორგანიზაცია, სისტემა და თვით ტრადიციაც.

უპირველესად ყოვლისა საჭირო იყო შექმნა სოფლად ისეთი აპარატისა, რომელიც სანდო წყაროთ გამოდგებოდა ცნობების შეკრებაში. ასეთ წყაროთ მივიჩნიეთ სოფლათ გაფანტული ინტელიგენტური ძალები. არ მოვინდომეთ ადმინისტრაციაზე დაყრდნობა, თუმცა არც მარტო კერძო პირების თანამშრომლობა ჩვენი საბოლოო მიზანი და ახლო მომავალში, წვრილი საერობო ერთეულების შემოღებიდან, განზრახვა გვაქვს უფრო მტკიცე ნიადაგზე მოვაწყოთ სოფლათ სტატისტიკური ორგანიზაციები.

მემინდვრეობა.

1918 სასოფლო სამეურნეო წელი მოსავლიანობის მხრივ ერთ ბედნიერ წელიწადათ ითვლება, როგორც მთელ საქართველოსათვის, ისე კერძოთ სიღნაღის მაზრისათვის. ნახნავების სივრცემ ამ წელს, წინა წლებთან შედარებით შესამჩნევათ მოიმატა. სასურსათო კრიზისმა სწორეთ 1917 წლის დასასრულს მიიღო მწვავე ხასიათი; როდესაც სურსათის შემოზიდვა ჩრდილო კავკასიიდან შესწყდა იქ გამეფებულ ანარქიისა და ტრანსპორტის მოშლის გამო; ამ გარემოებამ საფუძვლიანათ დამშევის შიში გამოიწვია ხალხში, სიმშილის აჩრდილმა გამოაფხიზლა იგი და გაათკეცებული ენერგიით მოეკიდა ხვნა თესვას.

სიღნაღის მაზრაში 1917-18 სას.-სამ. წელს დათესილი იყო 34382 დესეტინა უმთავრეს სასურსათო მცენარეებით. ეს რიცხვი, ჩვენის აზრით, ძალიან შემცირებულია და ნამდვილათ გაცილებით დიდი უნდა ყოფილიყო ნახნავების სივრცე. ამ ფაქტს განსაკუთრებით ხაზს ვუსვამ და ვიმეორებ, რომ ცნობები სრული არ არის, ჯერ ერთი იმიტომ, რომ პასუხი ამ კითხვაზე ყველა ადგილიდან არ მიგვიღია: ისეთ კითხვების დაკმაყოფილება, როგორც არის ნახნავ-ნათესების რაოდენობა, რომელიც მოითხოვს სპეციალურ გამოკვლევას, კორესპონდენტებს, ბუნებრივათ უძნელდებოდათ და ჩვენ მიერ დაგზავნილ ბლანკების 32% ამ კითხვას უპასუხოთ სტოვებდა. გარდა ამისა, როგორც საზოგადოთ, ისე ამ შემთხვევაშიც, ალბათ თანამედროვე პირობების ზეგავლენითაც, კორესპონდენტების ჩვენებას ახასიათებს ხოლმე ტენდენცია წარმოადგინონ ყოველი მოვლენა უკიდურესი სახით: ან გაზვიადებულათ ან სულ დამცირებულათ პრაქტიკული მოსაზრებების ზეგავლენით, თუმცა ეს ხდება არა წინასწარ განზრახვით, არამედ ინსტინქტიურათ, როგორც დამახასიათებელი ფსიხოლოგიური მოვლენა პრაქტიკოსი ადამიანებისა. აი ამ ორ გარემოებას, უმთავრესათ, თუ მივიღებთ მხედველობაში—ადვილი ასახსნელი იქნება ის განსაცვიფრებელი სიმცირე ნახნავებისა, რომელიც წარმოდგენილია. ქ. სიღნაღის მაზრისათვის უმთავრეს კულტურათ საპურე მცენარეებიდან ითვლება ხორბალი; მთელი ნახნავების 68% ეჭირა მას. მეორე ადგილი უჭირავს ქერს; თუმცა ჩვენს ცნობებში სიმინდი ცოტა მეტია ნაჩვენები, ვიდრე ქერი, მაგრამ ეს უმნიშვნელო განსხვავებაც უფრო შემთხვევითია. სიმინდი მაინც არ არის უთავრეს კულტურთაგანი ჩვენი მაზრისათვის, რადგან მის მოყვანას ხელს არ უწყობს ჩვენი კუთხის ფიცხი ნიადაგი, ჩვეულებრივი გვალვები და და სარწყავი მინდვრების უქონლობა. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ალაზანს გაღმა მდებარე, ლაგოდეხის რაიონი, სადაც სიმინდისათვის ხელშემწყობი პირობები ნაკლებად არის და ამ მცენარის მოსავალსაც კარგს იძლევა ხოლმე ეს კუთხე. ყოველ შემთხვევაში, პროპორცია ქერისა და სიმინდისა შეიძლება ჩავთვალოთ თანასწორათ და არავითარ შემთხვევაში სიმინდს ვერ დავაყენებთ პირველ რიგში ამ ორ მცენარეთა შორის. შემდეგი ადგილი უჭირავს ფეტვს; ეს მცენარე ჯერ კიდევ ახლო წარსულში საკმაოთ ითესებოდა ჩვენს მაზრაში, განსაკუთრებით ქიზიყში—შირაქის ველზე და ივრის სანაპიროებზე და ფართე ხასიათიც ჰქონდა მის მოყვანას, მაგრამ უკანასკნელ ათეული წლების განმავლობაში პერიოდულმა მოუსავლობამ და მისთვის საზიანო ამინდმა გააჩანაგა ეს მცენარე და თითქმის გადაშენების გზაზე დააყენა. რაც შეეხება კარტოფილს, მის მოყვანას ჯერ არ მისცემია ჩვენს მაზრაში ფართო ხასიათი და იგი საბოსტნე მცენარეთ უფრო ჩაითვლება ჩვენში, ვიდრე სამინდვროთ.

მოსავალი, როგორც ზევითაც აღვნიშნე, გაკვრით, კარგი იყო მაზრაში, განსაკუთრებით პურისა და ქერისა;

სხვა და სხვა მიზეზთაგან, რომელნიც კი უარყოფითად მოქმედებდნენ მოსავალზე, აღსანიშნავია, უპირველესათ ყოვლისა, გვალვა, ეს უმთავრესი მაზარალებელი მიზეზი მოსავლისა ჩვენს მაზრაში, თითქმის ყოველ წლივ. 57 კორესპონდენტის ჩვენებიდან 30 ჩვენება გვალვაზე მოდის და აქედანაც დიდი უმეტესობა ქიზიყს ეკუთვნის; საგრძნობი ზარალი მიაყენა მოსავალს ქიზიყში სეტყვამ; მისგან უმთავრესათ დაზიანდა ახალთესლები; ლაგოდეხისა და გურჯაანის რაიონებში ზოგიერთგან შამბი მოედია ჯეჯილებს და დაჩაგრა ყანები. აღსანიშნავია აგრეთვე, როგორც მოსავლის მავნებელნი ქიზიყში, მინდვრის თაგვი და ჩიტი; არის ერთი ჩვენება კალიისაც, მაგრამ მაინც ამ უკანასკნელთ დიდი ზიანი მოსავლისთვის არ მიუყენებიათ.

ჩვენი გამოანგარიშებით სიღნაღის მაზრას 1918 წელს მოუცია შემდეგი მოსავალი: 2,192 ათასი ფუთი ხორბალი, 356 ათასი ფ. ქერი, 64 ათასი ფ. ფეტვი, 383 ათ. ფ. სიმინდი და 61 ათასი ფ. კარტოფილი. როგორც ზევითაც აღვნიშნე, რომ ნახნავებს სივაკე შესამჩნევათ დაპატარავებულია, ისე ეხლაც უნდა განვიმეორო, რომ ჩვენი გამოანგარიშებული ჭირნახულის რაოდენობაც ძალიან ნაკლები უნდა იყოს, როგორც შედეგი მოხსენებული მიზეზისა. ნამდვილათ ჩვენს მაზრას უფრო დიდი ჭირნახული უნდა მოეცა, ვიდრე ის უმნიშვნელო რიცხვი (3 მილ. ფ.) რომელიც ჩვენი გამოანგარიშებით მივიღეთ და რომელიც უსათუოთ უნდა ჩაითვალოს მინიმუმათ; მაგრამ, თუნდაც რომ ეს მინიმუმი ჩავთვალოთ აბსოლიუტურ რიცხვათ, მაინც იგი სავსებით დააკმაყოფილებდა ჩვენი მაზრის საჭიროებას, თუ იგი მხოლოდ ჩვენს მაზრას მოხმარდებოდა; თითო სულ მცხოვრებს ერგებოდა, მინიმუმი, 17,1 ფუთი ხორბალი წელიწადში, დღეში დაახლოვებით ½ გირვანქა, რაც, მაინცა და მაინც, დაბალ ნორმათ არ უნდა ჩაითვალოს დღევანდელ პირობებში.

გორის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა.

ოქმი.

1919 წელსა, ივნისის 1 დღესა, გორის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის მოწვევით შესდგა გორის მაზრის უბნების მომრიგებელ მოსამართლეთა სხდომა, რომელზედაც დაესწრნენ: თავმჯდომარე ყრილობისა ს. ზ. მგალობლიშვილი, უბნის მოსამართლენი: ახალქალაქისა ს. პ. სარაჯიშვილი, გორისა—ს. ი. კლიმიაშვილი, გომისა—ნ. გ. კლიმიაშვილი, სურამისა—მ. ნ. ჩხიკვაძე, ქარელის—გ. გ. კოშორიძე და მეჯვრისხევისა—გ. ა. ქოქოშვილი, ყრილობის მდივნის ვ. დაფქვიაშვილის დასწრებით.

მოსამართლეთა სხდომის ყრილობის თავმჯდომარემ მიმართა მოხსენებით შემდეგის კითხვების გადასაწყვეტათ:

1., თუმცა ჯერ-ჯერობით მოსამართლეთა ყრილობას სულ ექვსი საქმე აქვს გასარჩევათ, მაგრამ სასურველად მიმაჩნია საქმეები დაუყოვნებლივ ირჩეოდეს და დროზე ეძლეოდეთ მოდავე—მომჩივნებს ასეთი თუ ისეთი დადგენილებანი და ამიტომ ითხოვა, მოსამართლეთა სხდომამ შეიმუშაოს წეს-რიგი და დრო მოსამართლეების გამოწვევისა ყრილობის სესიებზე. მოისმინეს რა ეს მოხსენება, მოსამართლეებმა დაადგინეს: ყოველი თვის 16-დან ინიშნებოდეს სესია, ამ მდგომარე წელს პირველი სესია დაინიშნოს 16 და 17 ივნისს და გამოწვეულ იქმნენ საქმის გასარჩევათ თავმჯდომარესთან ერთად სურამის მოსამართლე მეშნოს ნ. ჩხიკვაძე და გომისა ნ. ზ. კლიმიაშვილი; ივლისის სესსიაში მოსამართლენი—გორისა სამსონ კლიმიაშვილი და ახალქალაქისა სოლომონ სარაჯიშვილი, მარიამობისთვეში ქარელისა გიორგი კოშორიძე და მეჯვრისხევისა გიორგი ქოქოშვილი, რომელთაც თავის დროზე უნდა ეცნობოთ, რათა თავის მაგიერათ საქმის გასარჩევათ [illegible] სამატიო მოსამართლენი.

2. აწინდელი ჯამაგირები სრულებით ვერ აკმაყოფილებს მოსამართლეების ნივთიერ საჭიროებას და ამიტომ განიცდიან ფრიად დიდს გაჭირვებას, ასეთსავე გაჭირვებას და უფრო მეტს განიცდიან წვრილი მოხელენი. გაითვალისწინა რა ზოგიერთმა ერობამ მაგალითად— სიღნაღის მაზრის ერობამ, დაუნიშნა ყრილობის თავმჯდომარეს და უბნის მოსამართლეებს იმდენივე ჯამაგირი, რაც მთავრობამ ენკენისთვეს 24 ოქტომბრის 5., 1918 წელს კანონით. ამას გარდა დღემდე მოსამართლენი სამსახურის გამო თავისი ხარჯით დაიარებიან ყრილობის თავმჯდომარის და მაზრის ერობის გამოწვევით, დღემდე ამ საჭიროების დასაფარავად მთავრობისაგან არ არის გადადებული ავანსი, თუმცა ყრილობის თავმჯდომარემ აღძრა ამაზე სათანადო მთავრობასთან შუამავლობა. ამ საკითხების შესახებ სხდომამ დაადგინა: ყრილობის თავმჯდომარემ აღძრას შუამდგომლობა გორის მაზრის ერობის გამგეობასთან, რომ მის მიერ ამორჩეულ ყრილობის თავმჯდომარეს და მოსამართლეებს დაენიშნოს იმდენი, რაც მთავრობამ დაუნიშნა ხაზინიდან, ე. ი. 750 მ. ყრილობის თავმჯდომარეს, ხოლო მოსამართლეებს 650 მ. თვეში; კვალად განუმეოროს თავმჯდომარემ იუსტიციის მინისტრს და ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსს თავმჯდომარეს, რომ ყრილობის თავმჯდომარის განკარგულებაში გაიხსნას ავანსი, როგორც სესსიის წევრების დასაკმაყოფილებლათ, ისე გზის და დღიურის ხარჯების დასაფარავათ, როცა სამსახურის გამო მოსამართლენი იქნებიან გაწვეულნი; აღიძრას შუამავლობა საბუთების წარდგენით; რომ მოსამართლენი იქნებიან გაწვეულნი; აღიძრას შუამავლობა საბუთების წარდგენით, რომ მოსამართლეებს მიეცეთ დახარჯული მათგან ფული ბინებზე მოსასვლელათ, გზისა და დღიურის ხარჯის დასაფარავათ. აღიძრას შუამავლობა ერობის წინაშე, როგორც ეს აღიძრა მთავრობის წინაშე, რომ დანიშნოს ერობამ რაიმე ჯამი ბინის და გათბობა—განათებისათვის, რადგანაც მთავრობისგან შტატ წყობილებით გადადებული ნახევრადაც არ დაკმაყოფილებს მოთხოვნილებას. თუ ფულის გაღებას ერობის გამგეობა ვერ შესძლებს, ამ შემთხვევაში ერობათა ერთეულებმა მისცენ ოროლი საჟენი შეშა სასამართლოების ბინის გასათბობათ ერობის ტყეებიდან, რაც შეეხება მოხელეებზე შუამავლობის აღეძრას ჯამაგირების დანიშვნაზე ერობის მხრივ, ეს შეუძლებელია, რადგან ერობა აძლევს ჯამაგირს მხოლოდ და მხოლოდ მისგან არჩეულ პირთ და მთელს თორმეტი სასამართლოს მოხელეთა ჯამაგირის დანიშვნას იგი ვერ შესძლებს და ვერც დაიტვირთავს თავსა.

3., აღიძრას თავმჯდომარისაგან შუამავლობა, გორის მაზრის ერობის გამგეობის წინაშე, რათა ყველა სამომრიგებლო უბნების ბინებზე დაიდგას ტელეფონის აპარატები და შეერთდეს გორში ყრილობის თავმჯდომარის ბინასთან, სადაც უკვე სდგას აპარატი, რომელიც მუშაობს და რომელიც ქვედა სართულიდან უნდა ამოტანილ იქმნას თავმჯდომარის კაბინეტში, ან დერეფანში.

4., აღიძრას შუამავლობა ერობის წინაშე, რომ დღეის შემდეგ ახალი სასამართლოების ბინებისათვის თვითვე იზრუნონ, დაიქირავონ ბინა და პირობა შეუკრან პატრონებს; თუ ეს უკანასკნელი პირობა შეუძლებელი იქნება, მაშინ ყრილობის თავმჯდომარეს დაეკისროს პირობის შეკვრა. დღეიდან ყრილობის თავმჯდომარე თავისუფალია ბინის დაქირავებისაგან, მხოლოდ იგი მოვალეა, დაათვალიეროს ბინა და თუ შესაფერი არ იქნება სასამართლოსათვის, განუცხადოს ეს ერობას და მოახსენოს მთავრობას ბინის შეცვლაზე.

5., მიეწეროს გორის, სურამის და ცხინვალის გამომძიებლებს დასცალონ თვისი კამერები ჩამოთვლილ სასამართლოებში. ეცნობოს ეს გარემოება ტფილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარეს და ეთხოვოს, რომ თუ ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე საჭიროვლად ვერ დაინახავს გამომძიებელთაგან კამერების დაცლას, მაშინ შესაფერი ქირა მიიღონ ბინისა.

6. ყრილობის თავმჯდომარემ, თანახმად მაისის 20 ა. წ. მთავრობის დეკრეტისა ჯამაგირების მომატების შესახებ, რომელ დეკრეტშიაც არის პარაგრაფი შტატების შემოკლებაზე მზრუნველობის გაწევისა, რათა უბრალოთ არ დაიტვირთოს ხარჯებით სახელმწიფო ხაზინა, აღძრა საკითხი ჯერ ჯერობით ბოქაულების შტატების შემოკლებაზე. დაადგინეს: სურამის და ხაშურის, ბორჯომის და [illegible], ქარელის და გორის და ახალ ქალაქის და ქვემო-[illegible] უბნებში თითო ბოქაული დაინიშ[illegible] მეჯვრისხევისაში ერთი, ... ჯავისაც ჯერ ... ჯავის მოსამართლე აირჩეოდეს და მოეწყობოდეს, დაინიშნოს ერთი ბოქაული, შემდეგ კი ჯავის უბანში უნდა დაინიშნოს საკუთარი ბოქაული ორთაგან. სურამ-ხაშურში დაინიშნა ყოფილი ბოქაული ი. ქურდევანიძე, რომლის ბინა იქნება ქ. სურამში, ბორჯომ-გომისა ვლ. ჯვარაძე, რომლის ბინა იქნება ქ. ხაშურში, ქარელ-გორისაში ცალქალამანიძე; ბინა ქ. გორში, ახალქალაქ ქვემოჭალაში ჯავრიშვილი, ბინას. ახალქალაქ-ქში, მეჯვრისხევში, ყანჩელი, ბინა ს. მეჯვრისხევში, ცხინვალ-ჯავისა ოგანეზოვი, რომელიც დრომდე ჯავის საქმეებს უნდა განაგებდეს. ეცნობოს ეს იუსტიციის სამინისტროს და პალატის თავმჯდომარეს და ძალაში შევიდეს ეს დადგენილება ივნისის 1-დან ა. წ.

7. თანახმათ რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებისა აპრილის 17-დან ა. წ. მოხელეებს მიეცემათ ჯამაგირი დღიდან მათ მიერ ფაქტიურათ მუშაობის დაწყებისა.

8. ადგილის დასათვალიერებლათ გაწვეულ მოსამართლეებს მიეცეს დაკმაყოფილება მომჩივრისაგან დღიურად 40 მან. თანახმად საქართველოს რესპუბლიკის დადგენილებისა აპრილის 17-დან ა. წ., საგზაო ფული რკინის გზის მეორე კლასისა, ხოლო ცხენის და ეტლის ქირა ამ ჟამად არსებულ ფასების მიხედვით.

9. აღიძრა საკითხი მოსამართლეთაგან, რომ ერობამ ყოველ უბანს მიუჩინოს საპატიო მოსამართლე, რომელმაც უნდა აასრულოს მოსამართლის მოვალეობანი იმ დროს, როდესაც მოსამართლე ან ავად არის, ან გაწვეულია მორიგ სესიაზე დასასწრებლათ. დაადგინეს ეთხოვოს გორის მაზრის ერობას, მიუჩინოს უბნებს თანახმათ 43 მ. სასამართლოს დაწესდებულებისა, ყველა უბანს საპატიო მოსამართლე საქმეების გასარჩევათ.

10. წაკითხულ იქნა კადნიერი მონაწერი ახალქალაქის წვრილ ერთეულის ერობის გამგეობისა, რომელიც ბრძანების კილოთი თხოულობს არ იქნენ დანიშნული ახალქალაქის სასამართლოში მდივნათ გიგო თარხნიშვილი და ბოქაულათ ივ. ჯავრიშვილი (მოწ. 22 მაისიდან № 29). ამ დრომდე თარხნიშვილ უკვე შესცვალა მოსამართლემ, რაც შეეხება ჯავრიშვილს, ამის შესახებ მხოლოდ ცარიელ ლიტონ სიტყვით თხოულობენ და ფაქტიურ ცნობებს არ იძლევიან მის მავნე მიმართულებაზე. დაადგინეს: ერობას არა ვითარი უფლება არა აქვს გაერიოს მ სამართლეების საქმეებში, მოხელეების კანონის ძალით (24 ენკენისთვე—5 ოქტომბერი 1918 წ.), ნიშნავს მოსამართლე, ხოლო ბოქაულებს ყრილობის თავმჯდომარე. თუ ვინმე მოხელეთაგანი აღმოჩნდება ულირსი და მავნე, თვით მოსამართლე მოვალეა დაითხოვოს. ყრილობის თავმჯდომარეს ეკუთვნის ზედამხედველობა, ყურის გდება და მავნე პირების განდევნა სამსახურიდან. ეს ეცნობოს ახალქალაქის ერობას და ეთხოვოს გორის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარეს, რომ გააფრთხილოს წვრილ ერთეულის ერობის გამგეობანი კვლავ ნუ ჩაერევიან მოსამართლეების საქმეში და კადნიერი კილოთი მიმართვა შესწყვიტონ.

ნამდვილზე ხელმოწერილია თავმჯდომარის და წევრებისაგან.

ᲐᲓᲔᲠᲑᲔᲘᲯᲐᲜᲨᲘ

ხელშეკრულების რატიფიკაცია.

2 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზე, მინისტრთა საბჭოს დარბაზში მოხდა საქართველოს და ადერბეიჯანის შორის დადებულ ხელშეკრულობის ხელის მოწერა, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს წარმომადგენელნი ნოე რამიშვილის მეთაურობით და ადერბეიჯანის რესპუბლიკის სამინისტროს მთელი შემადგენლობა.

სახელმწიფოთაშორისო კომისიის დაარსება.

ადერბეიჯანის მთავრობამ წინადადება მისცა სომხეთის მთავრობას დაარსონ განსაკუთრებული კომისია, რომელიც გამოირკვევს ადერბეიჯანში სომხების მდგომარეობას და სომხეთში მუსულმანებისას. პასუხად ადერბეიჯანის მთავრობამ მიიღო შემდეგი დეპეშა: „სომხეთის მთავრობა ყოველთვის იმ თვალსაზრისზეა, რომ სომხეთსა და ადერბეიჯანს შორის დამყარდეს კეთილმეზობლური განწყობილება და ორივე რესპუბლიკის საკეთილდღეოდ მზათ არის მიიღოს ადერბეიჯანის რესპუბლიკის წინადადება შერეულ საპარლამენტო კომისიის შექმნის შესახებ, რომელშიაც შევლენ ორ-ორი წარმომადგენელი ორივე მხრიდან და მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები". 1919 წლის ივნისის 25, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტიგრანიანი.

საქონლის გაცვლა-გამოცვლა საქართველოსთან.

ამ დღეებში ბაქოში ელიან საქართველოდან ორ ვაგონ შაქარს, ამასთან ერთად ტფილისიდან გამოიგზავნება ასი ცარიელი ვაგონი ადერბეიჯანიდან პურის მისაღებათ.

ნავთის შესანახ ჭურჭლების მდგომარეობა.

ნავთის მწარმოებლის ყრილობის საბჭომ დაათვალიერა ნავთის ჭურჭლები, რომელნიც კიდევ ვარგა ნავთის შესანახავათ. სულ აღმოჩნდა 32 ჭურჭელი, რომლისგანაც სახმარათ 15 ვარგა და 17 თხოულობს შეკეთებას. ამ ჭურჭლების საერთო გარეშეცულობა უდრის 100,5 მილ. ფუთს, თავისუფალი გარეშეცულობა 54,5 მილ. ფუთს. ასე რომ სამ თვეში ამოღებული ნავთის შენახვა შესაძლებელი იქნება ამ ჭურჭლებში, რასაკვირველია იმ პირობით, რომ უვარგის ჭურჭლების შეკეთება ეხლავე მოხდეს. უმეტეს ნაწილათ ჭურჭლები მიწისაა (32—25).

გადამდებ ავათმყოფობასთან ბრძოლის შესახებ.

ბაქოს ქალაქის თავმა მიმართა ბაქოს გარნიზონის უფროსს თხოვნით, რომ მან გაგზავნოს ბაქოს და მის რაიონებში გადამდებ ავათმყოფობასთან საბრძოლველ საბჭოში გარნიზონის სანიტარულ ნაწილის წარმომადგენელი, რათა უკანასკნელი გაეცნოს ქალაქის სამმართველოს მედიკო-სანიტარულ განყოფილებას, და გადამდებ ავათმყოფობასთან საბრძოლველათ სათათბიროს მუშაობას, რომ შეუთანხმოს თავის მუშაობა მედიკო-სანიტარულ განყოფილების მუშაობას.

მრეწველთა ყრილობა.

ვაჭრობა-მრეწველობის და სასურსათო სამინისტროსთან არსებულ ბამბის და ზეთის საქმის წარმოების კომიტეტმა დაარსა განსაკუთრებული საორგანიზაციო ბიურო ბამბის, შალის, აბრეშუმის, ზეთის და სხვა წარმოების მწარმოებელთა ყრილობის მოსაწვევათ და პროგრამის შესამუშავებლათ.

30 ივნისს შესდგა ამ საორგანიზაციო ყრილობის პირველი სხდომა, რომელზედაც გადაწყდა 10 აგვისტოსთვის ყრილობის მოწვევა.

ბათუმზე ნავთის ექსპორტი.

ნავთის მწარმოებელთა ყრილობის საბჭოსთან არსებულ ნავთის გამყიდველ ბიუროს მიერ გაყიდულია, მოქმედების გახსნის პირველ დღიდანვე ე. ი. 1918 დეკემბრის 10-დან 1919 წ. მაისის 1-დე, სულ: 5,632,884 ფ. ნავთი. ამ რიცხვში ინგლისი სარგებლობს 3,226,515, საქართველოს მთავრობას 671,588 ფ. და სხვას 1,734,781 ფ.

მოკავშირეთა სახელმწიფოების საკონტროლო კომისიაში.

რადგანაც ბრიტინეთის ჯარი თანდათან მიდის და აგრეთვე საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე ლემანის წასვლის გამო ბრიგადის გენერალის განკარგულებით 7 მაისიდან შეწყვეტილია მოწმობების გაცემა, ყველა საქმეები გადაეცემა ერთ ერთ ბანკს.

ᲛᲪᲘᲠᲔ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

ტფილისის სასამართლოს პალატის პროკურორისა ქალაქების და სამაზრო მილიციის მოხელეთადმი უწყებათა ჩაბარებისათვის და სასამართლოს დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა განკარგულებათა აღსასრულებლად.

არა ერთხელ შემინიშნავს, რომ ქალაქების და სამაზრო მილიციის მოხელენი წესიერად არ აბარებენ გამომძიებელთა და სასამართლოს მიერ გაგზავნილს უწყებებს, სრულებით არ უწევენ ანგარიშს სისხლის სამართლის წარმოებას წესდებების მე-382—386 მუხლებში დადგენილს წესებს, ხშირად ჩაუბარებლად აბრუნებენ უწყებებს, არცკი სცდილობენ მონახონ ის, ვისაც უნდა ჩაჰბარდეს უწყება. ამასთანავე თითქმის ყველა კომისარს საკმარისად მიჩნია განკარგულების მოხდენა მხოლოდ თავისს უბანში, მაშინ როდესაც იგი მოვალეა უკეთუ საჭირო პირი მისს უბანში არ იმყოფება, სხვა უბანში გაგზავნოს მისთვის ჩასაბარებელი უწყება.

მილიცის მოხელეთა მიერ ზემოხსენებულ წესის დარღვევას, არევ-დარევა შეაქვს სასამართლოს საქმიანობაში, აფერხებს მართლმსაჯულების წესიერს და სწრაფს წარმოებას, მით უმეტეს, რომ უწყებები, მიუხედავათ დაბარების დღის აღნიშვნისა, დაბრუნებულ უნდა იქმნან სასამართლოში ბევრათ უფრო ადრე, უბრუნდება სასამართლოს საქმის გარჩევის შემდეგ, ისე რომ საქმის გარჩევის დღეს სასამართლოს არ აქვს ცნობები უწყების ჩაბარების შესახებ. ამის გამო სისხლის სამართლის საქმეების გარჩევა სხვა დროსთვის უნდა გადაიდოს, სასამართლოს გამომძიებლებთან-კი, მოწმების და ბრალდებულთა უპოვრობის და მათთვის უწყებების ჩაუბარებლობისა გამო, საქმე უმოძრაოდ რჩება, რაც, ბუნებრივად ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების ინტერესს, რადგან ეჭვს გარეშეა, რომ საზოგადოება და სახელმწიფო დაინტერესებულნი არიან [illegible] რომ დამნაშავეს სასჯელი მიეზღოს დაუგვიანებლად და არა დიდი ხნის დაყოვნებით, როცა სასჯელს თავისი მნიშვნელობა ეკარგება.

ამასთანავე სახეში უნდა იქნას მიღებული ისიც, რომ როგორც უსწორო ჩაბარება უწყებისა, აგრეთვე მისი დაგვიანებით დაბრუნება აბრკოლებს საქმის გარჩევას და მისს სასწრაფოთ დაბოლავებას.

ამიტომ წინადადებას ვაძლევ ყველა კომისრებს სასტიკი თვალყური ადევნონ თავისს ხელქვეით მოხელეებს სასამართლოს და გამომძიებელთა მოწერილობის აღრულების დროს, როგორც უწყების ჩაბარებაში, ისე სხვა საქმეებზე, შემდეგი წესების დაცვით რაც დადგენილია სისხლის სამართლის წარმოების მე-382—386 მუხლებით: 1) უწყების ჩამბარებელი აღნიშნავს მისის ჩაბარების დღეს და მოითხოვს, რომ უწყების მიღების ხელწერილშიაც აღნიშნულ იქმნას დღე უწყების მიღებისა, უკეთუ ის ვისაც უწყება უნდა ჩაბარდეს, უარს იტყვის ხელწერილის დადებაზე, ამ შემთხვევაში უწყების ჩამბარებელმა უნდა მოიწვიოს ორი მოწმე, რომლებსაც გამოუცხადებს, რომ საჭირო პირი უწყებას არ იბარებს. ამასთანავე უწყების ორივე ცალზე უნდა აღინიშნოს, ვის და როდის ჩაჰბარდა უწყება და რატომ არ უწერია ხელი უწყებაზე იმას, ვისაც უნდა ჩაჰბარებოდა იგი; 2 იმათ, ვინც წერა-კითხვა არ იცის, უწყების შინაარსი უნდა გამოეცხადოს ორის მოწმის თანადასწრებით; 3) იმ შემთხვევაში, როდესაც დაბარებული წასულია თავისის ბინადრობის ადგილიდან, დაბარების უწყება ხელისმოწერით უნდა ჩაჰბარდეს ვისიმე მის შინაურთაგანს, უფრო ხნით უფროსს ან სახლის პატრონს, ან მეეზოვეს, ან ადგილობრივ მილიციის მოხელეს, ან სოფლის კომისარს.

შენიშვნა: ბინადრობის ადგილიდან წასვლად იგულისხმება დაბარებულის სხვაგან წასვლა და არა დროებით შინ არ ყოფნა. ამ შემთხვევაში, უკეთუ არის ცნობები იმის შესახებ, რომ დაბარებული სხვა ადგილას არის წასული, უწყება უნდა ჩაბარდეს დაბარებულის შინაურებს, ან გაიგზავნოს უკანასკნელთაგან ნაჩვენებ ადგილას, ხოლოდ იმ ანგარიშით, რომ დასაბრუნებელი ცალი უწყებისა დაბრუნებულ იქმნას თავისს დროზე, დაბარების დღემდე.

სახეში უნდა იქმნას მიღებული, რომ მილიციის მოხელენი მოვალენი არიან მონახონ ქალაქში მცხოვრები დაბარებული პირი, რისთვისაც ყოველმა უბნის კომისარმა, თუ ვერ იპოვის დაბარებულს თავისს უბანში, უნდა გადასცეს უწყება სხვა უბანს და სხ., ისე რომ უწყებიდან უნდა სჩანდეს, რომ მილიციის მიერ მიღებულ იქმნა ყველა ზომები საჭირო პირის აღმოსაჩენად.

წინადადებას ვაძლევ ყველა უბნის და სოფლის კომისრებს ნიშანდობლივ შეასრულონ ზემოთ ჩამოთვლილი წესები და თვალყური ადევნონ მათს ასრულებას. ხოლო უკეთუ ჩემ მიერ შენიშნული იქნება ამ მხრივ რაიმე დაუდევრობა მილიციის მოხელეთა, იგინი არა მარტო მიცემულნი იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში, არამედ ჩემ მიერ აღძრული იქნება ვისთანაც ჯერ არს მიწერ-მოწერა მათ სამსახურიდან დათხოვნის შესახებაც.

ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორი **ა. გელაზარაშვილი.**

მდივანი **ა. სტრუკოვი.**

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ.

— დღეს 5 ივლისს ქართულ კლუბში დანიშნულია ფრიად საინტერესო მუსიკალურ-ეთნოგრაფიული კონცერტი. შესრულებულ იქნება მუსიკალური ნაწარმოებნი ბ. ბ. არაყიშვილის, გრეჩანინოვის, სლოვინსკის და სხვ. ამიერ კავკასიის ყველა ეროვნებათა: ქართული, თურქული, სომხური, ქურთული, რუსული, ბაშკირული, მოლდავური და სხვ. მონაწილეობას იღებენ: ალეშკო, კალაროვი, ფავლენიშვილი, ბორელიკი, ჭუმბურიძე, პოლიაევი, როგაჩევსკი და სხვა.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

○ 25 ივნისს, მოხდა ცენტრალური საბჭოს და პროფ. კავშირთა გამგეობის შეერთებული კრება. დღის წესრიგში კითხვა იყო: ნორმალური დასვენების ცხოვრებაში გატარება და მუშათა კლუბის საკითხი. კრება პირველი კითხვის შესახებ ადგენს: არჩეულ იქნას მეთვალყურე კომისია 7 კაცისაგან დღევანდელ კრების მიერ, ხოლო ამ შვიდ პირს შეემატოს ყოველ პროფ. კავშირისაგან სამსამი კაცი. მეორე კითხვის შესახებ კრებამ

დაადგინა: რადგან მუშათა კლუბის წესდება ჯერ არ არის შემუშავებული და ამის გამო საზოგადო კრების მოწვევა შეუძლებელია, უკვე მომქმედ კომისიას დაემატოს ოთხი კაცი და ამ კომისიამ იმუშაოს გამგეობის არჩევამდის.

◯ 29 ივნისს, ღამით ქუთაისში დაატუსაღეს და საგუბერნიო ციხეში ჩასვეს შემდეგი ბოლშევიკები: მიხა ცხაკაია, მიშა ოკუჯავა, მამია ორანელაშვილი, საშა გაჩეჩილაძე, დავით ლორთქიფანიძე და სტ. სვ. ჩიხლაძე.

◯ ანდრია ჭელიძემ სოც.-დემოკრატიულ კომიტეტში შეიტანა განცხადება, რომ ვინაიდან ის აღარ იზიარებს სოციალ.-დემოკრატიულ შეხედულებას და უფრო სწორათ მიაჩნია ბოლშევიკური მოძღვრება ამიტომ იგი პარტიიდან გადის.

◯ კვირას, 6 ივლისს, ქუთაისში, სოც.-დემოკრატიულ კლუბის დარბაზში დილის 10 საათზე გაიმართება ქუთაისის მაზრის ახალგაზრდა-მარქსისტთა კონფერენცია. ნორმა წარმომადგენლობის შემდეგია: 20 კაცზე იგზავნება ერთი დელეგატი. ის ორგანიზაციები, რომლებშიაც ითვლება 20 კაცზე ნაკლები მაინც გზავნიან თითო დელეგატს, დელეგატები უნდა იყვნენ აღჭურვილი დირექტივებით და მანდატებით დღიურ წესრიგში არის შემდეგი კითხვები:

1. მოხსენება. 2. მოხსენება ადგილებიდან. 3. სამაზრო ცენტრის შექმნა. 4. საორგანიზაციო საკითხები. 5. საკანტროლო კომისიის არჩევნები. 6. მიმდინარე საკითხები.

◯ ქ. ქუთაისში კლასიკური გიმნაზიის დარბაზში 26 ივნისს გაიხსნა სახალხო მასწავლებელთა კურსები. კურსები გახსნა ერობის ინსტრუქტორმა ამხ. ბ. გელაზანიამ. ის ერობის სახელით მიესალმა კრებას და მიუთითა ახალი ტიპის შკოლების აუცილებლობაზე. კურსები მასწავლებელთათვის გაგრძელდება ერთ თვეს. ხოლო იმ პირისთვის, რომლებიც ემზადებიან სამასწავლებლო გამოცდებისათვის გაგრძელდება სამ თვეს.

◯ 28 ივნისს სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქალაქის მილიციონერი ჭიჭიკო ღიბრაძე, ყოფილი მილიციონერი კუკულავა და ცნობილი ჯიბგირი დანელია გაბადაძე, რომელთაც ვიღაც უცნობთან ერთად ბრალდებათ ს. ჭოგნარში ტყაბლაძის და ქ. ქუთაისში ბინიაშვილის გაძარცვა: გაბადაძე და კუკულავა უკვე გამოტყდენ დანაშაულობაში და გასცეს თავიანთი ამხანაგებიც.

◯ შ. საქ. სამ. ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწემ ს. გეგელაშვილმა. გასცა ცირკულიარული ბრძანება მაზრის კომისრებზე, ქალაქის და მაზრების მილიციის უფროსებზე, რათა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მიიღოს ყოველივე ენერგიული ზომები დეზერტირების დაჭერაში და მათი თავიანთ ნაწილებში დაგზავნაში.

◯ შ. ს. ს. ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწემ ს. გეგელაშვილმა ფოთის ქალაქის მილიციის უფროსის შუამდგომლობით ფოთის საპყრობილეში მყოფ პატიმარს აბრამ დედიშვილს, რომელსაც ბრალდება ქურდობა და სხვა ბოროტ-მოქედება, გაუგრძელა სასჯელის ვადა სამ თვემდი.

◯ ამ მოკლე ხანში საზაფხულო საკრებულო დარბაზში გაიმართება დიდი საღამო, რომლის წმინდა შემოსავალი გადიდება საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფ. კავშირის სასარგებლოთ.

◯ დ. ბაღდათი. ამ უკანასკნელ ხანებში კვლავ გახშირდა თავდასხმები. ამ რამოდენიმე დღის წინად ს. დიმში ავაზაკები თავს დაესხენ ადგილობრივ მოვაჭრე ებრაელს და წაართვეს ფული და სხვა საჭირო ნივთები. ადგილობრივ ადმინისტრაციამ მიაგნო ავაზაკების კვალს, მაგრამ რაღაც მოსაზრებით რაიონის კომისარმა ავაზაკების ბუდე ხელუხლებელი დასტოვა. ადმინისტრაციის ასეთი მოქმედება დიდ მღელვარებას იწვევს საზოგადოებაში. საჭიროა უმაღლესმა მთავრობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და მოახდინოს სასტიკი გამოძიება, რათა ავაზაკების ფარეშს ბოლო მოეღოს.

განცხადებანი

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნატარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. აპრილის 16-ს დამტკიცებულია, იმავ წლის მარტის 15 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ერასტი და დავით ფარნაოზის ძე მხეიძეებმა 30.000 მ. მიჰყიდეს ივანე ტარიელის ძე ზეზაშვილის მიწის 2 ნაჭ. მდებარე ქ. ახალ სენაკში ზომით I ნაჭ.—1249½ კვ. ს., მეორე—71½ კვ. ს. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია ... მ, მთავარი ამონაწერი 150 მან. სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1919 წ. აპრილის 16. 960 1—1

ქუთაისის ოლქ. სას. უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. აპრილის 9-ს დამტკიცებულია იმავე წლის მარტის 25 შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ისახარ ყობოს ძე ბათიაშვილმა 4000 მ. მიჰყიდა იასონ ბესარიონის ძე ბურძელავას მიწის ნაჭერი შენობით, მდებარე ქ. ქუთაისში, ბაზრის ქ. ზომით: სიგრძ. ჩრდ. სამხრ.-6 ს. მარ. სიგანით 1, ¾ ს. სიმტკიცის გადასახადი მიღებულია. მთავარი ამონაწერი 20 მ. ლირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემილია 1919 წ. აპრილის 9 ს. 735 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნატარიუსი აცხადებს, რომ თანახმათ მიხეილის საადგილ-მამულო ბანკის 1919 წლის აპრილის 15/17 მოწერილობისა № 933, ყადაღა დადებული ქრისტო ივანეს ძე მეტაქსის მამულზე, დ შეტანილი ქ. სოხუმის 1912 წლის ყადაღათა კრებულში №, 122, გაუქმებულია.

ქ. სოხუმის 1919 წლის ყადაღათა კრებული № 47. 941. 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნატარიუსი აცხადებს, რომ 1919 წლის მაისის 20-ს დამტკიცებილია 1919 წლის მაისის 16-ს სოხუმის ნატარიუსის ს. ზაგრისკის მიერ შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ანასტასია ივანეს ასულმა სამურიდამ 399400 მან. მიჰყიდა ივანე ანდრიას ძე მილოპულოს მიწის სამი ნაჭერი შენობებით, ზომით ყველა 580, 87 ოთხკ. ს., მდებარე ქ. სოხუმში კოლიუაკინის და ლორისმელიქოვის ქუჩაზე, კვ. ლიტ „E".

გადახდილია: სიმტკიცის 15976 მან:, მთავარი ამონაწერი 2000 მან: ლირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 991. 1—1

სარკინისგზო მილიციის უფროსის სამმართველო ამით აცხადებს რომ ამ წლის 15 ივნისს ტფილისის სადგურზე დაკარგული რედიკული 114 მანეთით იპოვნეს ხეჩო ნესტოვმა და ენოქ ოგანესოვმა, რომელთაც ის ჩამოერთვათ და ინახება ხსენებულ მილიციის სამმართველოში. (ელისაბედის ქ № 200) 112 1—1

ტფილ. ოლქ. სას. პირველმა სამოქ. განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი მოსე გრიგოლის ძე მარიამულის 1919 წ. ივლისის 2. 1174 1—1

ტფ. ოლქ. სას. პირველმა სამოქ. განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა შინაური ანდერძი ანდრია მათეს ძე სამოდუროვისა 1919 წ. ივლისის 1. 1175 1—1

ტფ. ოლქ. სას. 1 სამოქ. განყოფ. სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ორი ნატარიალური ანდერძი გარდაცვალებულის ნინო სოლომონის ასულის ანდრონიკაშვილისა. 1919 წ. ივლისის 1. 1176 1—1

პეტრე ტაბლიევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 16, მიღებული ტფილისის მაზ. სამმართველოდან 1917 წ. ივნისის 17-ს. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება. 878 1—1

სისხლის სამართ. წარმ. წეს. მე-—846. 847, 848 და 851 მუხლის ძალით, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ სოფელ არლოთის, თიონეთის მაზრის მცხოვრებს ღვთისო ბეტის ძე ზვიადაურს და სოფელ მუცის, თიონეთს მაზრის მცხოვრებს—ჩხუბია სუხიას ძე დონდურის, რომელთაც ბრალი ედებათ სასჯელთა დებ. 1630 და 1632 მუხლის თანახმად. ზვიადაურის ნიშნები: 20 წლის, მაღალი, ქერა თმა, პირი ტიტველი; დონდურის ნიშნები: 23 წლის, შუათანა ტანის, ფერმკრთალი, შავი წვერულვაშით. ყველა, ვინც იცის ზვიადაურის და დონდურის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება დაკარგული პირების ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი სათპეკუნო გამგეობას. 1067 1—1

ივანე ინოზემცევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი, მიღებული ტფილისის ნიკოლოზის სახელობის მე-3 უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლიდან 1916 წ. ატესტატი გაუქმებულათ ითვლება. 883 1—1

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო-მეურნეობისა და სახელმწიფო მამულთა განყოფილება ამით აცხადებს, რომ ამა წლის ივლისის 10-ს დანიშნული საჯარო ვაჭრობა კობიის, ყაზბეგის და სიონის მინერალურ წყლებზე აღარ შესდგება. 1178 1—1

ქ. ტფილისის მესამე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს განსვენებულის სტეპანიდა ვასილის ასული დობროტინას მემკვიდრეებს თავის უფლებების წარმოსადგენათ განსვენებულის ქონებაზე იმ ვადაში, რომელიც აღნიშნულის 1241 მუხლით ტ X ნაწილი 1 სამოქალაქო კანონებისა. 882 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ, 1919 წ. მაისის 12-ს დამტკიცებულია, იმავე წლის მარტის 26-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ელისაბედ კონსტანტინეს ასულმა კლდიაშვილმა 2000 მან. მიჰყიდა თადეოზ ალექსის ძე ბერიძეს მიწის ნაჭერი, მდებარე ქ. ქუთაისში, პოლიციის ქ., ზომით 100 ოთხკ. ს.

სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 100 მ. მთავარი ამონაწერი 12 მ. 50 კ. ლირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1919 წ. მაისის 12-ს. 958 1—1

სარქის აკოფის ძე პოპოვიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 2122. მიღებული ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან 1919 წ. სექტემბრის 3-ს. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება. 489 3—2

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობა ზაქარია ბერის ძე ლულუნიშვილის მიერ მიცემული ლეონტი ბერის ძე ლულუნიშვილზედ, დამოწმებული ჭიათურის ნატარიუსის აბულაძის მიერ 25 თებერვალს 1917 წ. წიგნის №496, 17 ამა ივანობისთვის დადგენილების ძალით—გაუქმებულია. 1134 3—2

ბიქტორ ლევანეს ძე ყიფიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნებართვა № 1472, რევოლვერის და თოფის ტარების. მიღებული 1 დეკემბერს 1918 წ. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 875 3—2

ივანე ზაქარიას ძე ხარებაშვილი აცხადებს რომ მან დაჰკარგა ნებართვა № 12229. ვინტოვკის № 2775 და რევოლვერის № 124727. 845 3—2

მოედნის რაიონში დავკარგე: უვადო პასპორტი მოცემული ალექსანდროპოლის პოლიციის მიერ 1916 წ. № 2596 ამავე ქალაქის მცხოვრებ ვაგარშაკ პინადჟიანცზე: 2) კვიტანცია ტფილისის ხაზინისა არუტინ ხანგალიანის სახელზე შესახებ 800 მანეთისა, რომლითაც ეძლეოდა ნება გაეტანა სომხეთში სხვა და სხვა საქონელი; 3) სახელოსნო მოწმობა არუტინ ხანგალიანისა. ზემოხსენებული საბუთები ვთხოვთ მნახველს დააბრუნოს საჩუქრის მიღებით—ელისაბედის ქუჩა № 106. პინადჟიანცს. წინააღმდეგ შემთხვევაში სულყველა საბუთები გამოცხადებულ იქნეს უვარგისად. 840 3—3

7 ივლისს 1919 წ.

ქ. ტფილისში უმწყობრო გუნდში მე-5-თე ქვეითა რაზმში დილის 10 საათზე შეჯიბრებით იყიდება ძველი ნალები, ძველი რკინები, ფურგუნის ნაწილები, საკერავი მაშინები, რეზინის ნაჭრები და სხვა წვრილმანები. ნახვა შეიძლება შეჯიბრების დღეს.

პოლკოვნიკი ქართველიშვილი.

881. 3—.2

საქართველოს
სახაზინო რკინის გზათა მართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქვემო აღნიშნული ბაგაჟი გაუტანილი გაიყიდება ტფილისის ცენტრალურ საწყობში 19/21 ივლისს, 1919 წ. დილის ათ საათზე, გაუყიდავი საქონელი ხელმეორედ დაინიშნება გასასყიდლად ივლისს 1919 წ.

გორიდან ტფილისი რიგ. № 1 სატვირთო ბარათის № 358262 ბაგაჟი 1 ცალი 35 გ., გორიდან ტფ. რიგ. № 2 სატვ. ბარ. 251893 № წიგნები 1 ცალი 20 გირ., გორიდან ტფილ. რიგ. № 5 სატვ. ბარ. № 258193 3 ც. 3 ფ. 20 გ., ქუთაისიდან ტფ. რიგ. № 9 სატვ. ბარ. № 252748 ბაგაჟი 1 ც. 1 ფ., ქუთაისიდან ტფ. რიგ. № 10 სატვ. ბარ № 252747 2 ც. 4 ფ. 13 გირ., ტფილისიდან რიგ. № 14 სატვ. ბარ. № 582305 7 ფ, ქუთაისიდან რიგ. № 15 სატვ. ბარათი № 21271 3 ფუთი 10 გ., ბაქოდან რიგ. № 16 სატვ. ბარათი. № 244883—9 ფუთი 30 გირვ., სამტრედიიდან რიგ. № 20 სატვირ. ბარათი № 46677 38 გირვ., მოსკოვიდან რიგ. № 33 სატვ. ბარ. № 108653 20 გ., ქუთაისიდან რიგ. № 34 სატვ. ბარათი № 59695 18 ფ. 5 გ., ფოთიდან რიგ. № 43 სატვ. ბარ. № 89970 14 ფ. 13 გ., ფოთიდან რიგ. № 47 სატვ. ბარ. № 56937 2 ფ. 5 გ., გორიდან რიგ. № 55 სატვ. ბარ. № 49701—7 ფ. 20 გ., ბაკურიანიდან რიგ. № 56 სატვ. ბარ. № 87026 3 ფ. 20 გ., ალექსანდროპოლიდან რიგ. № 57 სატვ. ბარ. № 57060 18 ფ. 30 გ., სამტრედიიდან რიგ. № 58 სატვ. ბარ. № 45841 7 ფ. 20 გ., ქუთაისიდან რიგ. № 64 სატვ. ბარ. № 60896 2 ფ. 30 გ., ყარაისიდან რიგ. № 66 სატვ. ბარ. № 46135 9 ფ. 35 გ., ახალსენაკიდან რიგ. № 72 სატვ. ბარათი № 29546 3 ფ. 31 გ., ხაშურიდან რიგ. № 87 სატვ. ბარ. № 21488 4 ფ. 10 გ., ფოთიდან რიგ. № 88 სატვ. ბარ. № 57105 1 ფ. 29 გ., ფოთიდან რიგ. № 89 სატვ. ბარ. № 57106 5 ფ. 20 გ., ქუთაისიდან რიგ. № 90 სატვ. ბარ. 252883 1 ფუთი, შორაპნიდან რიგ. № 91, სატვ. ბარ. № 198736 36 გ., საუჩბულახიდან რიგ. № 138 სატვ. ბარ. № 3706 30 გირ. ხაშურიდან რიგ. № 172 სატვ. ბარ. № 31360 4 ფ. 2 გირ., ხორაგოულიდან რიგ. № 182 სატვ. ბარ. № 88106 4 ფ. 20 გ, ბორჯომიდან რიგ. № 216 სატვ. ბარ. № 7151 29 ფუთი 38 გ., საჩხერიდან რიგ. № 265 სატვ. ბარ. № 103049 1 ფუთი 17 გირ., ნატანებიდან რიგ. № 227 სატვ. ბარ. № 262235 3 გ., ნატანებიდან რიგ. № 231 სატვ. ბარ. № 262252 3 გ., ნატანებიდან რიგ. № 232 სატვ. ბარ. № 262266 3 გ, ნატანებიდან რიგ. № 233 სატ. ბარ. № 262227 3 გ., ნატანებიდან რიგ. № 234 სატვ. ბარ. № 272271 3 გ., ნატანებიდან რიგ. № 235 სატვ. ბარ. № 262321 5 გ., ნატანებიდან რიგ. № 236 სატვ. ბარ. № 262301 5 გ., ნატანებიდან რიგ. № 237 სატვ. ბარ. № 262203 5 გირ., ნატანებიდან რიგი № 238 სატვ. ბარ. № 262255 5 გ., ნატანებიდან რიგ. № 239 სატვ. ბარ. № 262286 10 გ., ნატანებიდან რიგ. № 240 სატვ. ბარ. № 262231 3 გ., ნატანებიდან რიგ. № 241 სატვ. ბარ. № 262283 3 გ., ნატანებიდან რიგ. № 242 სატვ. ბარ. № 262242 5 გირ., ნატანებიდან რიგ. № 243 სატვ. ბარ. № 362223 3., ნატანებიდან რიგ. № 244 სატვ. ბარ. № 362261 3 გ., ნატანებიდან რიგ. № 245 სატვ. ბარ. № 262316 5 გირ., ნატანებიდან რიგ. № 246 სატვ. ბარათი № 262308 3 გ., ნატანებიდან რიგ. № 247 სატვ. ბარ. № 262312 5 გ., ნატანებიდან რიგ. № 248 სატვ. ბარ, № 262310 5 გ., ნატანებიდან რიგ. № 249 სატვ. ბარ. № 262277 3 გ., ნატანებიდან რიგ. № 250 სატვ. ბარ. № 262236 3 გ., ნატანებიდან რიგ. № 251 სატ. ბარ. № 262302 5 გ., ნატანებიდან რიგ. № 252 სატვ. ბარ. № 262314 5 გ., ნატანებიდან რიგ. № 253 სატვ. ბარ. № 262317 5 გირვ., ნატანებიდან რიგ. № 254 სატ. ბარ. № 262318 5 გ., ნატანებიდან რიგ. № 255 სატ. ბარ. № 262311 5 გ., ნატანებიდან რიგ. № 256 სატვ. ბარ. № 262319 5 გ., ნატანებიდან რიგ. № 257 სატვ. ბარ № 262305 5 გ., ნატანებიდან რიგ. № 260 სატვ. ბარ. № 262268 3 გ., ნატანებიდან რიგ. № 261 სატვ. ბარ. № 262274 3 გ., ნატანებიდან რიგ. № 262 სატვ. ბარ. № 262273 3 გ., ქარელიდან რიგ. № 264 სატვ. ბარ. № 15702 4 ფ., ახალსენაკიდან რიგ. № 286 სატვ. ბარ. № 30052 1 ფ. 30 გ., საჩხერედან რიგ. № 266 სატვ. ბარ. № 103047 20 გირ., რიონიდან რიგ. № 268 სატვ. ბარათი № 5815 2 ფ., რიონიდან რიგ. № 269 სატვ. ბარ. № 5816 3 ფუთი 30 გირ., ბორჯომიდან რიგ. № 301 სატვ. ბარ. № 48755 1 ფ., სანაინიდან რიგ. № 226 სატვ. ბარ. № 26945 13 ფ., სამტრედიიდან რიგ. № 295 სატ. ბარ № 96618 13 გ., ბორჯომიდან რიგ. № 303 სატ. ბარ. № 7167 3 ფ. 5 გ., სანაინიდან რიგ. № 305 სატვ. ბარ, № 27345 25 გ., სადახლოდან რიგ. 306 სატ ბარ. № 10863 42 ფ., სამტრედიიდან რიგ. № 308 სატვ. ბარ. № 95190 11 ფ. 33 გ., სამტრედიიდან რიგ. № 310 სატ. ბარ. № 95186 5 ფუთი, სამტრედიიდან რიგ. № 311 სატ. ბარ. № 95182 3 ფ. 34 გ., ახალსენაკიდან რიგ. № 288 სატ. ბარ. № 30145 228 ფ. 15 გ., ახალსენაკიდან რიგ. № 289 სატ. ბარ. № 30143 87 ფუთი, ახალსენაკიდან რიგ. № 314 სატ, ბარ. № 30144 227 ფ., ალექსანდრეპოლიდან რიგ. № 23 სატვ. ბარათი № 65714 28 ფ., 5 გ., ბორჯომიდან რიგ. № 291 სატ. ბარ. № 52659 10 ფ. 35 გ, სურამიდან რიგ. № 271 სატ. ბარ. № 10651 23 ფ. 20 გ., გომიდან რიგ. № 272 სატვ. ბარათი № 27585 14 ფ. 30 გირ., სურამიდან რიგ. № 273 სატ. ბარ. № 10650 820 ფ., ჯუმათიდან რიგ. № 220 სატ. ბარ. № 285174 28 ფ., გორიდან რიგ. № 69 სატ. ბარ. № 47954 70 ფ. აქტი ტფილისის საბ. № 3620 10 ფუთი 35 გირვანქა, აქტი ტფილისის საბ. № 3608 23 ფუთი 22 გირვანქა, აქტი ტფილისის საბ. № 26 17 ფუთი 26 გირვანქა, აქტი ტფ. საბ. № 114 20 გვანქა, აქტი ტფილისის საბ. № 113 25 გ., აქტი ტფ. საბ. № 437 4 ფ. 30 გ., აქტი ტფ. საბ. № 3574 2 ფ. 15 გ., აქტი ტფ. სად. № 142 3 ფ. 36 გ., აქტი ტფ. სად. № 151 6 ფ. 10 გ., აქტი ტფ. სად. № 144 2 ფ. 18 გ., აქტი ტფ. სად. № 140 1 ფ. 16 გ., აქტი ტფ. სად. № 149 2 ფ. 37 გ., აქტი ტფ. სად. № 134 18 ფ., აქტი ტფ. სად. № 143 1 ფ. 16 გ., აქტი ტფ. სად. № 125 1 ფ., აქტი ტფ. სად. № 129 5 ფ. 20 გ., აქტი ტფ. სად. № 122 32 გ., აქტი ტფ. სად. № 127 1 ფ. 13 გ., აქტი ტფ. სად. № 135 32 გ., აქტი ტფ. სად, № 145 1 ფ. 23 გ., აქტი ტფ. სად. № 123 1 ფ. 4 გ., აქტი [illegible] სად. № 86 1 ფ. 20 გ., აქტი ტფ. სად. № 132 23 გ., აქტი ტფ. სად. № 133 [illegible] აქტი ტფ. სად. № 126 36 გ., აქტი ტფ. სად. № 124 1 ფ. 14 გ., აქტი ტფ. სად. [illegible] 5 გ., [illegible] 131 აქტი ტფ. სად. № 130 1 ფ. 10 გირ., აქტი ტფ. სად. № 150 2 ფ. [illegible] 25 გ., აქტი ტფ. სად. № 148 2 ფ. 10 გირ., აქტი [illegible] № 139 14 გ., აქტი ტფ. სად. № 141 3 ფ. 16 გ., აქტი ტფ. სად. [illegible]